სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განხორციელებული სამეცნიერო–კვლევითი აქტივობები

საანგარიშო პერიოდი (2016 წლის იანვარი-დეკემბერი)

პროექტები:

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების (#22/04 30.12.2014) შესაბამისად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოცხადდა მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში კონკურსი, სადაც მონაწილეობა შეეძლო ფაკულტეტის პროფესორებს, სწავლების სხვადასხვა დონიდან წარმოდგენილი არანაკლებ ორი სტუდენტის ჩართვით. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ფარგლებში შემუშავდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების პირობები, ჩატარების წესი, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და პროექტების შეფასების კრიტერიუმები დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.

საფაკულტეტო მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში შემოსული საპროექტო წინადადებების შესაფასებლად, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ✓ ზურაბ დავითაშვილი – პროფესორი
- ✓ ალექსანდრე კუხიანიძე – პროფესორი
- ✓ რევაზ ჯორბენაძე – პროფესორი
- ✓ ნინო ჭალაგანიძე – ასოცირებული პროფესორი
- ✓ ვალერიან მელიქიძე - კომისიის თავჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში
- ✓ თეონა მატარაძე – ასისტენტ-პროფესორი

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში სულ შემოვიდა 9 განაცხადი. კომისიის შეფასებით გაიმარჯვა ოთხმა პროექტმა:

- ➢ ქართული მედია, როგორც ოფიციალური და არაოფიციალური ისტორიების ჩანაცვლების ძირითადი უბანი. "გლასნოსტის" კონკრეტული გამოვლინების

საბჭოთა საქართველოს შემთხვევაში (ქეისი 1987-1990)“, ხელმძღვანელი ხათუნა მაისაშვილი;

- “საქართველოს საპორტო ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. განვითარების პრობლემები, პერსპექტივები: საპორტო ქალაქ ფოთის მაგალითზე“, თამარ დოლბაია;
- “კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში“, თამარ მახარაძე;
- “ქალთა შრომითი მიგრაცია: სოციალურ-ეკონომიკური გავლენა მიგრანტთა ოჯახებზე საქართველოში“, გიორგი გოგსაძე

პროექტები დასრულდა 2016 წლის ბოლოს. 2017 წლის იანვრის თვეში შედგა პროექტების შედეგების პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე პროექტში ჩართულმა პირებმა წარმოადგინეს კვლევის ძირითადი მიგნებები, ხოლო პროექტის ფარგლებში რეფერირებული სტატიები მომზადების პროცესშია და გამოქვეყნდება 2017 წლის განმავლობაში. პროექტების ნარატიული ანგარიშების ხილვა შესაძლებელია ბმულზე – https://www.tsu.ge/ge/faculties/social/research/.

საზაფხულო სკოლა დოქტორანტებისთვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა 2016 წლის 22–26 ივლისს გამართა საზაფხულო სკოლა დოქტორანტებისათვის. საზაფხულო სკოლის მიზანი იყო გაეუმჯობესებინა დოქტორანტების უნარ-ჩვევები სწავლების, კვლევისა და სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების მიმართულებით. პროგრამაში მონაწილეობდა 20–მდე დოქტორანტი როგორც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან, ისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებიდან. საზაფხულო სკოლის სასწავლო პროცესში ჩართული იყო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შვიდი პროფესორი (თამარ დოლბაია, ნათელა დონაძე, ნინო დურგლიშვილი, რევაზ ჯორბენაძე, მარინა ბურძენიძე, ლია წულაძე, თეონა მატარაძე) და ერთი უცხოელი პროფესორი (ტიმოთი ბლოუველტი).

საზაფხულო სკოლის ფარგლებში დოქტორანტებმა გაიღრმავეს ცოდნა ისეთ საკითხებში, როგორიცაა კვლევის დიზაინი; სტატიის დიზაინი და სტრუქტურა; სტატიის გამოქვეყნება; რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: შერჩევა და სკალები; გამოკითხვა, კითხვარი, კითხვის ტიპები; მონაცემთა მომზადება ანალიზისათვის; SPSS-ის ჩარჩოს შექმნა, მონაცემების შეყვანა და გაწმენდა; მონაცემთა ერთგანზომილებიანი, ორგანზომილებიანი და ფაქტორული ანალიზი; სწავლების

მეთოდები; ასევე ჩატარდა პრაქტიკული მეცადინეობები დოქტორანტთა სადისერტაციო თემებზე. საზაფხულო სკოლას დაეთმო 30 აკადემიური საათი. მსგავი საზაფხულო სკოლა დოქტორანთებისათვის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარდება ყოველწლიურად.

საზაფხულო სკოლა "პოსტ–კოლონიური სახელმწიფოების პოლიტიკა და საზოგადოება"

2016 წლის 13 ივნისს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და იუტას უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა საზაფხულო სკოლა "პოსტ–კოლონიური სახელმწიფოების პოლიტიკა და საზოგადოება."

საზაფხულო სკოლის მიზანი იყო სტუდენტებისთვის გაეცნო სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური, კულტურული და სოციალური მახასიათებლები, პოსტ–სოციალისტური გამოწვევები და მიმართებები პოსტ–კოლონიური გამოწვევებთან.

კურსს გაუძღვებოდნენ იუტას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები Dr. Erin Hofmann და Dr. Robert Nalbandov. თემატიკის მიხედვით საზაფხულო სკოლაში ჩართული იყვნენ ადგილობრივი ექსპერტებიც.

ჟურნალები:

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი

2015 წლის დასაწყისიდან დაიწყო მუშაობა "ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალის" დაფუძნების მიმართულებით.

„ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი“ მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სწავლების მეორე და მესამე საფეხურის სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას და საშუალება მისცეს მათ, საკუთარი ნაშრომები გააცნონ ფართო აკადემიურ საზოგადოებას.

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სტატია გადის შემოწმების რამდენიმე საფეხურს, რომელიც მოიცავს ტექნიკურ შემოწმებას, სარედაქციო კოლეგიის წევრთა შეფასებას და გარე რეცენზირებას. ამგვარი სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტებს დააგროვონ რეფერირებად ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების გამოცდილება. ჟურნალი გამოდის წლის განმავლობაში ორ ნაკვეთად.

ჟურნალს ჰყავს სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით:

- ✓ თამარ დოლბაია – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი
- ✓ ნინო დურგლიშვილი – ასოცირებული პროფესორი
- ✓ კორნელი კაკაჩია – პროფესორი
- ✓ ვალერიან მელიქიძე – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი
- ✓ მანანა შამილიშვილი – ასოცირებული პროფესორი
- ✓ ლია წულაძე – ასოცირებული პროფესორი
- ✓ თეონა მატარაძე- ასოცირებული პროფესორი

ჟურნალს ჰყავს მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- ✓ ვლადიმერ პაპავა – აკადემიკოსი, პროფესორი
- ✓ რევაზ გაჩეჩილაძე – პროფესორი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი
- ✓ ზაზა ფირალიშვილი – დოქტორი
- ✓ ოლივერ რაისნერი – დოქტორი
- ✓ ფლორიან მიულფრიდი – დოქტორი

2015 წელს კრებულის პირველ გამოცემაში შემოვიდა 16 და დაიბეჭდა 6 სტატია, ამავე წლის მეორე გამოცემაში შემოვიდა 12 სტატია – დაიბეჭდა 4, 2016 წლის პირველ ნომერში (მესამე გამოცემა) შემოვიდა 10 სტატია და დაიბეჭდა 7. მესამე ნომრის პრეზენტაცია შედგა 11 ივლისს. 2016 წლის მეორე ნომერში (მეოთხე გამოცემა) შემოვიდა 14 სტატია და დაიბეჭდა 6. ჟურნალის მეოთხე ნომრის პრეზენტაცია გაიმართა 2016 წლის 23 დეკემბერს.

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

2016 წლის სექტემბრიდან დაიწყო მუშაობა სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალის შექმნის მიმართულებით. ჟურნალი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა ძალისხმევით დაფუძნდა.

ჟურნალის მიზანია, ხელი შეუწყოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს სამეცნიერო სტატიების შექმნასა და თავისი ნაშრომების ფართო საზოგადოებისათვის გაზიარებაში. ჟურნალი არის ელექტრონული, ღია ხელმისაწვდომობის. ჟურნალში შემოსული სტატიები

გადის შიდა რეცენზირებას ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრებთან. ჟურნალში სტატიების მიიღება დაიწყო 2016 წლის ბოლოდან. წლის განმავლობაში იგეგმება ჟურნალის ოთხი ნომრის გამოშვება. ჟურნალის შესახებ დეტალური ინფორმაცია შესაძლებელია იხილოთ ბმულზე – http://sjss.tsu.ge/ka/zhurnalis-shesakheb/.

კონფერენციები, ფორუმები, სემინარები

ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია – „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველწლიურად ივნისის თვეში იმართება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 2016 წლის კონფერენციის თემა იყო "საქართველო და სამხრეთ კავკასია გლობალური გამოწვევების პირისპირ," რომელიც გაიმართა 23-25 ივნისს. კონფერენციაზე იყო ოთხი სექცია და 48 მოხსენება. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები გამოცემული იქნება 2017 წელს ნაშრომების ელექტრონულ გამოცემაში. დეტალური ინფორმაცია კონფერენციის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე http://ssp.tsu.ge/.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „საქართველო და მოლდოვა: დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გამოცდილება“

2016 წლის 26 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის მეცნიერებისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტთან ერთად ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე "საქართველო და მოლდოვა: დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გამოცდილება". კონფერენცია გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ. კონფერენციის სამუშაო ენები იყო ქართული და ინგლისური. ჩატარდა პლენარული სხდომა და 4 სესია. კონფერენციაში მონაწილეობდა 28 ქართველი და უცხოელი მომხსენებელი.

საერთაშორისო კონფერენცია ,,პოლიტიკა კავკასიის გარშემო"

2016 წლის 21 ოქტომბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და თსუ-ს საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა II საერთაშორისო კონფერენცია ,,პოლიტიკა კავკასიის გარშემო". კონფერენციაში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი პროფესორები და

სტუდენტები სხვადასხვა ქვეყნიდან. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 25-მდე მოხსენება.

ყოველწლიური საუნივერსიტეტო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2016 წლის 7-8 ივლისს ჩატარდა სტუდენტთა 76-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილეს. კონფერენციაში მონაწილეობა შეეძლოთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებს. სულ კონფერენციაზე გაკეთდა 39 მოხსენება, რომლებიც 4 სექციაში გადანაწილდა.

კონფერენციის მონაწილეებს აფასებდა ფაკულტეტის პროფესორებისაგან შემდგარი 8 კაციანი ჟიური წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით. თითოეული სექციიდან გამოვლინდა სამი გამარჯვებული. პირველ ადგილზე გასული სტუდენტების ნაშრომები გამოიცემა სტუდენტთა სამეცნიერო შრომებში.

სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2016 წლის 15-16 დეკემბერს გაიმართა სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებმა.

საფაკულტეტო კონფერენციის პირობების მიხედვით, კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეეძლო იმ სტუდენტებს, რომელთა ნაშრომებიც სტუდენტთა სამეცნიერო წრეზე დადებით შეფასებას მიიღებდა. გამოგზავნილი აბსტრაქტები განიხილა კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა. სულ მიღებულ იქნა 60-მდე აბსტრაქტი, რომელთაგანაც კონფერენციისათვის შეარჩია 48 მოხსენება. კონფერენციაზე მუშაობდა 5 სექცია ფაკულტეტის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. სტუდენტების მოხსენებები შეაფასა ჟიურიმ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით. თითოეული სექციიდან გამოვლინდა გამარჯვებულები, რომელტა სტატიები დაიბეჭდება 2017 წლის ჟურნალში „სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში“.

სტუდენტური კონფერენცია „კავკასია გზაჯვარედინზე - რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები“

2016 წლის 11 ივნისს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩატარდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის მე–4 ერთბლივი სტუდენტური კონფერენცია „კავკასია გზაჯვარედინზე - რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები“. კონფერენციის მიზანი იყო სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდებში ცოდნის ამაღლება, მომავალი ლიდერებისა და მკვლევარების შეკრება და კავკასიის რეგიონულ სტაბილურობის საკითხებზე ახალგაზრდებს შორის დიალოგის ხელშეწყობა. კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ ბაკალავრიატის მე–3 და მე–4 კურსის სტუდენტებსა და მაგიტრანტებს.

კონფერენციის სამუშაო თემები იყო:

საერთაშორისო ურთიერთობები: კავკასია და ზესახელმწიფოების ინტერესთა კონფლიქტი - რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევები;

საჯარო ადმინისტრირება: საჯარო სექტორის რეფორმირება: საერთაშორისო გამოცდილება და არსებული გამოწვევები;

ეკონომიკა: ეკონომიკური რეფორმები, ეკონომიკური პოლიტიკა და ბიზნესის განვითარება კავკასიის რეგიონში;

სამართალმცოდნეობა: კანონის უზენაესობა, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა საკითხები კავკასიაში;

სოციოლოგია: საზოგადოებრივ აზრთა ფორმირების პროცესი კავკასიის რეგიონში და გამოწვევები სამოქალაქო საზოგადოებისთვის.

კონფერენცია მიმდინარეობდა ქართულ და ინგლისურ ენებზე; მუშობდა 4 სესია. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 33 მოხსენება, ამათგან 17 თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან. თითოეულ სესიას ჰყავდა შესაბამისი დისციპლინის აკადემიური კომისია. კომისიის წევრების შეფასებებით გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებსაც გადაეცათ სერტიფიკატები.

კონფერენცია „დამოუკიდებლობის 25 წელი: მიღწევები, პრობლემები და პერსპექტივები“

2016 წლის 26 აპრილს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის ინიციატივით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წელი: მიღწევები, პრობლემები და პერსპექტივები“.

კონფერენციაზე მუშაობდა სამი სექცია. მომხსენებლები იყვნენ როგორც ქართველი ისე უცხოელი აკადემიური სფეროს წარმომადგენლები. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 18 მოხსენება.

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმი

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმი იმართება ყოველწლიურად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სწავლების სამივე საფეხურის სტუდენტებს და პროფესორებს. 2016 წელს ფორუმში განაცხადი შემოიტანა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო სწავლების საფეხურის სამმა სტუდენტმა, ერთმა მაგისტრანტმა, ორმა დოქტორანტმა და ორმა პროფესორმა. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებულმა კომისიამ შეიმუშავა შეფასების კრიტერიუმები თითოეული საფეხურის სტუდენტისა და აკადემიური პერსონალისათვის ცალ–ცალკე. ფაკულტეტის პროფესორების სტატიები გაიგზავნა გარე რეცენზირებაზე, სტუდენტების ნაშრომები კი მხოლოდ კომისიამ შეაფასა. საბაკალავრო დონის სწავლებიდან კომისიამ გამარჯვებულად ცნო საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სტუდენტების ქრისტინე ჯინჭველეიშვილისა და ანი კენჭაშვილის ნაშრომი „ტერორიზმსა და მედიას შორის არსებული კავშირები „ისლამური სახელმწიფოს“ მაგალითზე“. ნაშრომი მოსმენილი იყო 2015 წლის სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე და შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: https://tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/javaxishvilis%20porumi%202016.pdf

მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტის სალომე დავითაშვილის ნაშრომს „ეთნიკური ქისტების ინტეგრაციის საკითხი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში“, რომელიც მოსმენილი იყო ასევე 2015 წლის სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე, კომისიამ დადებითი შეფასება მისცა ფორუმზე გასატანად. ნაშრომი შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: https://tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/qistebi.pdf.

დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებს კომისიამ არ გაუწია რეკომენდაცია ფორუმზე მონაწილეობაზე. გარე რეცენზენტებისა და კომისიის წევრების

შეფასებების შეჯერების შედეგად გამოვლინდა პროფესორთა გამარჯვებული პუბლიკაცია: სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ლია წულაძის სტატია „Western Imaginary and Imagined Defense: Strategies of Eastern Europe and its Borderlands". ნაშრომი გამოქვეყნებული იყო ჟურნალში „Central European Journal of International and Security Studies" 2013 წელს და შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: http://static.cejiss.org/data/uploaded/1404332675236302/Article%2005.pdf

გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდო, ხოლო მათი სტატიები დაიბეჭდება თსუ სამეცნიერო კრებულში.

საერთაშორისო სემინარი „რუსეთისა და კავკასიის კვლევები"

2016 წლის 22 ივნისს ივანე ჯავხიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარდა საერთაშორისო სემინარი „რუსეთისა და კავკასიის კვლევები".

სემინარში მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები:

ალექსანდრე კუხიანიძე – პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნიევრსიტეტი "Russia after the USSR: From Professional to Political Organized Crime?"

ბო პიტერსონი – პროფესორი, მალმოს უნივერსიტეტი, შვედეთი "Frail Grounds: Charismatic Legitimacy, Political Myth and the Specter of Regime Succession in Russia."

სტივენ ჯონსი – პროფესორი, მაუნთ ჰოლიოკის კოლეგი, აშშ "Georgia, Russia, and the Limitations of Geography"

კორნელი კაკაჩია – პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი "South Caucasus: Between Russia and the West"

კარინა ვამლინგი – პროფესორი, მალმოს უნივერსიტეტი, შვედეთი "On RUCARR initiative"

საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი თანამშრომლობა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მიმდინარე სამეცნიერო აქტივობის ფორმებია: უცხოელი პარტნიორი მკვლევარების მიღება, საერთაშორისო აკადემიური წრეების წარმამდგენელთა საჯარო ლექციები, სტუდენტთა და პროფესორთა მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ. 2016 წელს თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტიდან 14 ქვეყანაში 24–მა პროფესორმა მონაწილეობა მიიღო 20 სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ღონისძიებაში.

საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის მიმართულებით ფაკულტეტზე 2016 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

საჯარო ლექციები

- 2016 წლის 10 ნოემბერს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საჯარო ლექცია წაიკითხა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის სკოლის დირექტორმა ჯულია ბაქსტონმა. ქალბატონი ჯულიამ წაიკითხა ლექცია "დებატები თანამედროვე უსაფრთხოების შესახებ," სადაც ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მმართველობა, საჯარო პოლიტიკა, უსაფრთხოება, ძალადობა, კონფლიქტი და ექსკლუზია, საჯარო ადმინისტრირება.
- 2016 წლის 6 ოქტომბერს ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტის (ლიტვა) პროფესორმა, საჯარო ადმინისტრირების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მინდაუგას იუკუნასმა ინგლისურ ენაზე წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: "მცირე ზომის სახელმწიფოები, თანამშრომლობა და კონფლიქტები ჩრდილოეთ ევროპაში."
- 2016 წლის 3 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით, ჩატარდა შეხვედრა ცნობილ კინორეჟისორ სერგეი გოლოვეცკთან (ბელორუსია), რომელმაც წაიკითხა საჯარო ლექცია დოკუმენტურ კინოზე, მოეწყო ფილმების ჩვენება და გაიმართა დისკუსია.
- 2016 წლის 2 მარტს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მხარდაჭერით გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე - „თანამედროვე ქალაქის დაგეგმარების მიდგომები ისტორიული ურბანული ლანდშაფტის კონტექსტში". საჯარო ლექცია წაიკითხა ბ-ნმა დანიელ პენემ, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის წარმომადგენლობითი ექსპერტთა ჯგუფის ერთ ერთი წევრმა, რომელმაც დარგის ქართველ სპეციალისტებსა და სტუდენტებს გააცნო ისტორიული ქალაქების თანამედროვე განვითარების გამოწვევები და წარმატებული მაგალითები.
- 2016 წლის 25 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვილნიუსის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი გრაზვიდას იასუტისმა გამართა მრგვალ მაგიდა თემაზე

„კავკასიის საემიროები რეგიონალურ კონფლიქტში“. მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის დელეგაციის, ევროკავშირის სამონიტორო მისიის, ნატოსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა და თსუ აკადემიურმა პერსონალმა.